საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან

(ანკარის მთავრობის ნოტა. გაგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი 1920 წლის 25 ივლისს)

მიხეილ სვანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გამგე

1920 წლის 25 ივლისს ანკარის მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ჯარმა დაიკავა ბათუმი. „საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან ბათუმის დაკავება, აღნიშნულია ნოტაში, თურქეთის მთავრობის მიერ დიდი გაკვირვებითა და უკმაყოფილებით იქნა მიღებული" (12. 200; 15. 555).

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ამ ნაბიჯს თურქეთის მთავრობა მიიჩნევდა როგორც „უფლებებისა და კანონების პრინციპების სრულიად საწინააღმდეგო ქმედებას" (12. 200; 15. 555).

რით აიხსნება თურქეთის მთავრობის ასეთი რეაქცია? საქმე შემდეგნაირად გამოიყურება:

1918 წლის 28 ოქტომბერს მუდროსის ზავით თურქეთის მთავრობამ ანტანტის სახელმწიფოების წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა და ვალდებული იყო, პირველი მსოფლიო ომის დროს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოეყვანა თავისი ჯარები, მათ შორის – საქართველო-

დანაც. 1918 წლის ბოლოს, საქართველოდან თურქეთის ჯარის გაყვანის შემდეგ, დეკემბერში ინგლისის მთავრობამ თავისი ჯარი შეიყვანა საქართველოში, კერძოდ, ბათუმის ოლქში. 1920 წლის 10 ივნისს ინგლისის მთავრობამ მიიღო დადგენილება ბათუმის ოლქიდან ჯარის გამოყვანისა და ამ რეგიონის საქართველოსათვის დაბრუნების შესახებ (5. 107).

ერთდროულად ანკარის მთავრობამ ორი ნოტა გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, ერთს ხელს აწერდა ანკარის მთავრობის მეთაური მუსტაფა ქემალ ფაშა, ხოლო მეორეს – ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელით – აჰმედ მუჰტარი. ეს უკანასკნელი მიმართულია საქართველოს პარლამენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ორივე ნოტა იდენტურია და ერთ დღესაა შედგენილი. მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ გამოგზავნილი ნოტა მოთავსებულია წიგნში – (12. 200), ხოლო აჰმედ მუჰთარის ნოტა – (15. 555, 556).

1920 წლის 7 ივლისს საქართველოს ჯარი შევიდა ბათუმში. მას მოსახლეობა სიხარულით შეეგება. საღამოს 6 საათზე გაიმართა ინგლისის მთავრობის წარმომადგენლების მიერ ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი. მოეწყო ინგლის-საფრანგეთისა და ქართული ჯარების აღლუმი.

ივლისის შუა რიცხვებში ინგლისის ჯარების ევაკუაცია საქართველოდან დასრულდა (5. 108; 9. 326).

ბათუმის ოლქიდან ინგლისის ჯარის წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად, დამთავრდა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია უცხო სახელმწიფოების მიერ, რომელიც დაიწყო 1783 წლიდან, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ. საქართველომ მიაღწია სანატრელ მიზანს, მის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა არც ერთი უცხოელი ჯარისკაცი. საქართველო ზეიმობდა ამ გამარჯვებას. მაგრამ შეეძლო კი საქართველოს საკუთარი ძალებით დამოუკიდებლობის შენარჩუნება? – ქართველი ხალხის ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა.

ინგლისის ჯარების საქართველოდან წასვლის შემდეგ მას საშრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ორი დიდი სახელმწიფო დაუპირისპირდა.

ინგლისის ჯარებმა ბათუმიდან წასვლაც კი ვერ მოასწრეს, რომ თურქეთის მთავრობამ ბათუმზე თავისი პრეტენზია გამოაცხადა. მუსტაფა ქემალი წერს: „1920 წლის ივლისში, როდესაც ინგლისელებმა მოახდინეს ბათუმის ევაკუაცია, მაშინვე საქართველოს ჯარმა დაიკავა იგი. რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა ბრესტ-ლიტოვსკისა და ტრაპიზონის ხელშეკრულებებს, ჩვენ ამის გამო 1920 წლის 25 ივლისს პროტესტი განვაცხადეთ" (9. 115).

ანკარის მთავრობა თავის საპროტესტო ნოტაში წერდა, რომ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსეთმა მას იარაღის ძალით ჩამოაცილა ყარსის, არტაანისა და ბათუმის სანჯაყები (12. 200; 15. 555) და თავის იმპერიას შეუერთა, მაგრამ ნოტაში არაფერია ნათქვამი, რომ ეს ოლქები XVI საუკუნეში ოსმალეთმა საქართველოს ჩამოაცილა და ოსმალეთის იმპერიას შეუერთა. ეს კარგად, აშკარად დასტურდება თურქული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებიდანაც (11. 225-226; 13. 1; 14. 716). აქ არ შევუდგებით ამ საკითხის განხილვას, იგი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ შევნიშნავთ, რომ სწორედ თურქებმა მოახდინეს „იარაღის ძალით" ამ ქართული ტერიტორიების მიტაცება.

ამ დროს ბათუმში საფრანგეთის მცირერიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი იმყოფებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმიდან ინგლისის ჯარის გაყვანის საკითხი შეთანხმებული იყო საფრანგეთის მთავრობასთან (5. 108).

ამავე დროს ქართულმა ჯარმა ართვინი დაიკავა (8. 105).

საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და ტრაპიზონის ხელშეკრულებით ეს სამი სანჯაყი (ყარსი, არტაანი და ბათუმი) დედასამშობლოს დაუბრუნდა (12. 200; 15. 550).

ეს დებულებაც დაზუსტებას მოითხოვს. ეს ოლქები ძირითადად დასახლებული იყო ქართველებით და მათთვის თურქეთი დედასამშობლო არ ყოფილა.

არ არის მართებული, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ეს სამი სანჯაყი (ყარსი, არტაანი და ბათუმი) თურქეთს გადაეცა. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში წერია: „ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს რუსეთის ჯარი. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოლქების ახალ სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ორგანიზაციებში და უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამ ოლქების მოსახლეობას დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით" (10. 336; 16. 13-20).

ამრიგად, ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები ოსმალეთს უნდა გადასცემოდა. აქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ მისმა მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი. ე.ი. უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენლების მონაწილეობით. ასე რომ, ხელშეკრულების ეს მუხლი ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას და არ აღიარებს ამ სამ სანჯაყს ოსმალეთის კუთვნილებად.

ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის დამთავრების შემდეგ რუსეთმა დაიწყო ამ ადგილებიდან თავისი ჯარების გამოყვანა. თურქეთის მთავრობამ კი გამოაცხადა, რომ ეს სამი სანჯაყი მას ეკუთვნის და დაიწყო მათი ოკუპაცია (7. 86-89, 150, 161, 162).

1918 წლის მარტ-აპრილში ტრაპიზონში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთისა და ამიერკავკასიის წარმომადგენლები. კონფერენციის დასასრულს თურქეთის დელეგაციამ ამიერკავკასიის დელეგატებს წარუდგინა 48 საათიანი ულტიმატუმი და აიძულა დელეგაციის მეთაური აკაკი ჩხენკელი, მიელო თურქეთის მოთხოვნა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დად-

გენილება ტრაპიზონიდან დელეგაციის გამოწვევისა და მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ (2. 19-34).

კონფერენციის მსვლელობის დროს თურქეთი შეუდგა ამ სამივე სანჯაყის ტერიტორიის ოკუპაციას (7. 153, 159; 15. 233, 234).

იმ მიზნით, რათა დაეკანონებინათ ამ ტერიტორიებზე თავისი უფლებები, 1918 წლის 14 ივლისს თურქეთის სამხედრო ადმინისტრაციამ ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქებში, სამხედრო ოკუპაციის პირობებში, ჩაატარა რეფერენდუმი. რეფერენდუმი ჩატარდა საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევებით. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ თურქეთის მე-3 არმიის სარდალ ესად ფაშას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომელშიც დაწვრილებით იყო მითითებული ბათუმში რეფერენდუმის დროს დაშვებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი (7. 370, 371).

ალსანიშნავია, რომ თავის საპასუხო წერილში ესად ფაშამ აშკარად აღიარა: „ეს ტერიტორიები თურქეთის ხელში გადავიდა დაპყრობის სრული უფლებით." (7. 372-375). ასე რომ, თურქეთი აღარ ნილბავდა ამ ოლქების დაპყრობის ფაქტს.

ამავე დროს, თურქეთის მოკავშირე გერმანიის წარმომადგენელი თბილისში გენერალი ფონ კრესი აღნიშნავდა, რომ თურქეთის მიერ სამ ოლქში (ბათუმი, არტაანი და ყარსი) ჩატარებული რეფერენდუმი არ შეესაბამებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლს და რომ გერმანიის დესპანს კონსტანტინოპოლში მიეცა ინსტრუქცია, ამის შესახებ ეცნობებინა ოსმალეთის მთავრობისათვის (7. 177, 178,; 143-148).

ამრიგად, თურქეთის მოკავშირე გერმანიის მთავრობაც აღიარებდა, რომ რეფერენდუმი ჩატარდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობის დარღვევით.

რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ სტამბოლში გაიგზავნა დელეგაცია, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთან მეჰმედ VI-ის ჰატი შერიფით (ბრძანებულებით) ეს სამი სანჯაყი ოსმალეთის იმპერიას შეუერთდა (15. 234. 237; 12. 65, 66).

ამრიგად, ამ აქტით ოსმალეთმა დაარღვია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება.

ანკარის მთავრობა თავის ნოტაში აღნიშნავდა, რომ საქართველომ ისარგებლა „კავკასიაში გაბატონებული არეულობით და მოაწყო თავდასხმა ბათუმზე" (15. 234-237; 19. 65, 66).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისის მთავრობამ ბათუმიდან თავისი ჯარი ნებაყოფლობით გაიყვანა და ქალაქი საქართველოს დაუბრუნდა. ამ დროს კი „კავკასიაში არავითარი არეულობა" არ ყოფილა.

ანკარის მთავრობა თავის ნოტაში, საქართველოს მიერ ბათუმის დაკავებასთან დაკავშირებით, წერდა, რომ იგი ამას ეწინააღმდეგება, დამამცირებლად აღიქვამს ამ ფაქტს, საქართველოს მთავრობას „პროტესტს უცხადებს და აფრთხილებს ამგვარი მოქმედების გამო", „ადანაშაულებს იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებაში" (12. 200; 15. 556).

ერთი სიტყვით, ანკარა საქართველოს მთავრობას ადანაშაულებდა და ბრალს სდებდა იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებაში, იმ დროს, როცა საქართველო საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისი მინა-წყლის დაცვისათვის იბრძოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სანამ თურქები ანატოლიაში მოვიდოდნენ, ბათუმსა და ბათუმის ოლქში (აჭარაში) ძველთაგანვე ქართველები სახლობდნენ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში თურქებმა აჭარა დაიკავეს, ხოლო სელიმ II-ის (1566-1574)დროს აჭარა აღწერეს და „აჭარის დიდი დავთარი შეადგინეს". ამ „დავთრიდან" ირკვევა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანები (ქართველები) იყვნენ.

ამრიგად, ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან დიდი ბრიტანეთის ჯარის გასვლის შემდეგ ამ რეგიონში ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა სავსებით სამართლიანი და კანონიერი იყო.

ლიტერატურა

1. **დავით პაიჭაძე**, რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესწავლისათვის, ქართული დიპლომატია. ნელინდელი, 2002, ტ.9.
2. **მიხეილ სვანიძე**, ტრაპიზონის კონფერენცია /1918წ. 14 მარტი – 14 აპრილი/, ქართული დიპლომატია. ნელინდელი, 1998, ტ.5.
3. **მიხეილ სვანიძე**, ბრესტის ზავი და საქართველო, ქართული დიპლომატია, ნელინდელი, 1996, ტ.3.
4. **მ. სვანიძე**, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში, 2002, ტ.10.
5. **რამაზ ცუხიშვილი**, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბ., 1955.
6. **ზაზა შაშიკიძე**, ზემო აჭარის ლივანერცელი დავთარი, როგორც წყარო აჭარის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 341, 2002.
7. **Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии**, Тиф. 1919.
8. **Кемаль Ататюрк**, Избранные речи и выступления, Москва, 1966.
9. **Мустафа Кемаль**, Путь новой Турции 1920-1921, Москва, 1934.
10. **В. В. Ключников и А. В. Сабанин**, Международная политика в договорах, нотах и документах, ч. II, Москва, 1925.
11. **Dundar audin**, Erzurum beylerbeyligi ve teskilati kurulus ve Ctnisleme Devri (1535-1566), Ankara, 1998.
12. **Esin Dayi**, Elviye-i Selase de (Kars, Ardahan, Batum) Milli Teskil atlama, Ankara, 1997.
13. **M. F. Kirzioglu**, Osmanlilar in Kafkas-Ellerini fethi (1451-1590), Ankara, 1976.
14. **B. Kutukoglu**, Osmanli-Iran siyasi munasebetleri (1578-1612), Istanbul, 1993.
15. **Sarpil Surmell**, Turk-Curcu iliskileri (1918-1921), Ankara, 2001.
16. **Tulau Duran**, Brest-Litovsk Anlasmasi ve Turkiye (Belgelre), Turk Tarihi Dergisi N38, Kazim, 1970, s. 13-20.